დანართი N3

წინასწარი შეტყობინებისა და საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტის შევსების წესი

1. საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი შედგება წინასწარი შეტყობინებისა (ნაწილი I - მონაცემები ტვირთის შესახებ, რომელიც ივსება საქონლის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ) და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აქტისაგან (ნაწილი II - გადაწყვეტილება ტვირთზე), რომელშიც ელექტრონულად აისახება უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.
2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანისას ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელება იწყება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში წინასწარი შეტყობინების მიღების შემდეგ.
3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტვირთის შემოტანისას რეგულირებადი ობიექტისათვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაუგზავნოს შემოსატანი ტვირთის შესახებ მონაცემები იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება ტვირთის შემოტანა:
   ა) სახმელეთო გზით შემოტანამდე - 24 საათით ადრე;
   ბ) საზღვაო გზით შემოტანისას - სატვირთო ოპერაციების დაწყებამდე 24 საათით ადრე;
   გ) საჰაერო გზით შემოტანისას – საჰაერო ხომალდის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენამდე არანაკლებ 2 საათით ადრე.
4. წინასწარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმპორტის ნებართვის ან ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ან ტვირთის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის შესახებ (გაცემის თარიღი, გამცემი ორგანოს სრული დასახელება), აგრეთვე, საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას.
5. იმ შემთხვევაში, თუ ტრანზიტული ტვირთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ხდება ღია ან/და დაულუქავი სატრანსპორტო საშუალებით, განკუთვნილია საწყობში დროებითი შენახვისთვის, ექვემდებარება გადატვირთვას, დანაწევრებას, სხვა ტვირთებთან შერევას ან შეფუთვის შეცვლას, ექვემდებარება ფიტოსანიტარიულ პროცედურებს და შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ,,საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტში“.
6. თუ რეგულირებად ობიექტზე პასუხისმგებელი პირი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას და ამ ოპერაციის განხორციელებისა და დასრულების მიზნით საქონელს ათავსებს დროებითი შენახვის ადგილზე, ამ შემთხვევაში, საქონლის მიმართ ხორციელდება ტრანზიტული ტვირთის მიმართ გასატარებელი პროცედურები.

წინასწარი შეტყობინების (ნაწილი I - მონაცემები ტვირთის შესახებ)

დოკუმენტის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

გრაფა 1. გამგზავნი/ექსპორტიორი - გამგზავნის/ექსპორტიორის დასახელება, რომელიც აგზავნის ტვირთს;

გრაფა 2. რეგისტრაციის ნომერი - უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (ID ნომერი);

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი:

დასახელება - ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოში შემოტანის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება;

კოდი - კონკრეტული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი.

გრაფა 3. საქონლის მიმღები - ფიტოსანიტარიულ სერთიფიკატში მითითებული საქონლის მიმღების დასახელება და მისამართი.

გრაფა 4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი - იმპორტიორის წარმომადგენლის დასახელება და მისამართი (თუ ტვირთზე პასუხიმგებელი პირი და ტვირთის მიმღები ერთი და იგივეა, მიუთითეთ ,,იხილეთ გრაფა 3“).

გრაფა 5. იმპორტიორი - იმპორტიორის დასახელება და მისამართი (თუ იმპორტიორი და ტვირთზე პასუხიმგებელი პირი ერთი და იგივე პირია მიუთითეთ „იხილეთ გრაფა 4“.

გრაფა 6. წარმოშობის ქვეყანა - მცენარის, მცენარეული პროდუქტის წარმოების ადგილი (ადგილები) ან ადგილი, სადაც ტვირთი იძენს ფიტოსანიტარიულ სტატუსს.

გრაფა 7. გამომგზავნი ქვეყანა - იმ ქვეყნის დასახელება, სადაც საქონელი ჩაიტვირთა სატრანსპორტო საშუალებაში უშუალოდ დანიშნულების ქვეყანაში გადასაზიდად.

გრაფა 8. დანიშნულების ადგილი - ტვირთის საბოლოო დანიშნულების ქვეყანა და მისამართი.

გრაფა 9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლის თარიღი - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ტვირთის შესვლის სავარაუდო თარღი (რიცხვი, თვე, წელი).

გრაფა 10. ფიტოსანიტარიული დოკუმენტები - ფიტოსანიტარიული სერტიფიკატ(ებ)ის უნიკალური ოფიციალური ნომერი, გაცემის თარიღი, გამცემი ქვეყანა/ორგანო;

გრაფა 11. ტრანსპორტის სახეობა - ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების შესახებ:

ტრანსპორტის სახეობა- საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, სახმელეთო;

სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია:

საჰაერო ტრანსპორტისთვის - რეისის ნომერი;

საზღვაო ტრანსპორტისთვის - გემის სახელწოდება;

სარკინიგზო ტრანსპორტისთვის- მატარებლის და ვაგონის ნომერი;

სახმელეთო ტრანსპორტისთვის- რეგისტრაციის ნომერი და მისაბმელის ნომერი.

სატრანსპორტო დოკუმენტი № - ავიაზედდებულის, სარკინიგზო ზედნადების, კონოსამენტის, სატრანსპორტო ზედნადების ან TIR-წიგნაკის ნომერი.

გრაფა 12. ტვირთის აღწერილობა:

პროდუქციის დასახელება, მცენარეების ბოტანიკური დასახელება -მცენარეების ბოტანიკური დასახელება ლათინურ ენაზე,თუ პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია ბოტანიკური დასახელების მითითება იწერება N/A;

წონა/რაოდენობა - მიეთითება კონკრეტული საქონლის წონა შეფუთვის გარეშე, საერთაშრისო წონის ერთეულებში. თუწონის ერთეული მიუღებელია ვიყენებთ სხვა შესაბამის ერთეულებს. მაგალითად, ხე-ტყის შემთხვევაში - $მ^2$, $მ^3$ და ა.შ;

შეფუთვის სახე და რაოდენობა (მაგ. 50 ყუთი 2 კგ. შეფუთვებით).

საქონლის კოდი (სეს ესნ არანაკლებ 4 ციფრამდე) - მინიმუმ პირველი ოთხი ციფრი **სეს ესნ** ნომენკლატურის მიხედვით.

გრაფა 13. საქონლის საერთო წონა/რაოდენობა - ნეტოწონა (კგ) ტვირთის ფაქტობრივი წონა შეფუთვის გარეშე, საერთაშრისო წონის ერთეულებში. თუწონის ერთეული მიუღებელია ვიყენებთ სხვა შესაბამის ერთეულებს. მაგალითად, ხე-ტყის შემთხვევაში - $მ^2$, $მ^3$ და ა.შ;

გრაფა 14. კონტეინერის ნომერი და ლუქის ნომერი - ლუქის და კონტეინერის შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრები.

გრაფა 15. რეექსპორტი - გრაფა ივსება, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება შემოტანილი უცხოური საქონლის გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

დანიშნულების ქვეყანა - საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი - იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება, საიდანაც ტვირთი ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

კოდი - გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი.

გრაფა 16. ტრანზიტი - ივსება მაშინ, როდესაც ტვირთი ტრანზიტით გადაადგილდება საქართველოს გავლით.

დანიშნულების ქვეყანა - საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი - იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დასახელება, საიდანაც ტვირთი ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

კოდი -გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კოდი.

გრაფა 17. თავისუფალი მიმოქცევა - პროდუქტებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ერთიანი ბაზრის ფარგლებში თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად;

გრაფა 18. უკან მობრუნებული საქონელი - კეთდება აღნიშვნა შესაბამის უჯრაში, როდესაც საქართველოში წარმოშობილი პროდუქტს უარი ეთქვა დანიშნულების ქვეყანაში შესვლაზე და დაბრუნებულია საქართველოში.

გრაფა 19. საწყობი - მიეთითება, ის ადგილი სადაც დასაწყობებული იქნება ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

გრაფა 20. ტვირზე პასუხისმგებელი პირი - ამ გრაფაში მიეთითება ტვირზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რომელიც დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენით იღებს მე-20 გრაფით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი

ნაწილი I: ტვირთის შესახებ მონაცემები

1.გამგზავნი/ექსპორტიორი
დასახელება
მისამართი
ქვეყანა

2.რეგისტრაციისნომერი

სასაზღვროინსპექციისპუნქტი
დასახელება
კოდი

3.საქონლისმიმღები
დასახელება
მისამართი
ქვეყანა

4.ტვირთზეპასუხისმგებელიპირი
დასახელება
მისამართი
ქვეყანა

5.იმპორტიორი
დასახელება
მისამართი
ქვეყანა

6.წარმოშობის ქვეყანა

7.გამომგზავნიქვეყანა

8.დანიშნულებისადგილი
ქვეყანა
მისამართი

9.სასაზღვროინსპექციისპუნქტშიშემოსვლის თარიღი

10.ფიტოსანიტარიული დოკუმენტები:
დოკუმენტის ტიპი
ნომერი (ები)
გაცემისთარიღი
გამცემი ქვეყანა/ორგანო

11.ტრანსპორტის სახეობა:
საჰაერო ☐ საზღვაო ☐ სარკინიგზო ☐ საავტომობილო ☐
იდენტიფიკაცია
სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი

12. ტვირთის აღწერილობა

პროდუქციის დასახელება	მცენარეებისბოტანიკურიდასახელება.	წონა/რაოდენობა	საზომი ერთეული	სეს ესნ კოდი	შეფუთვის სახე, რაოდენობა	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის N	იმპორტის ნებართვის N

13. საქონლის საერთო წონა/რაოდენობა

14. კონტეინერისნომერიდალუქისნომერი

15. რეექსპორტი დანიშნულებისქვეყანა
გასვლისსასაზღვროინსპექციისპუნქტი (კოდი)

16. ტრანზიტი დანიშნულებისქვეყანა
გასვლისსასაზღვროინსპექციისპუნქტი (კოდი)

17.თავისუფალი მიმოქცევა

სასურსათო
დასათესად
დასარგავად
დეკორატიული მიზნებისთვის
სამეცნიერო მიზნებისათვის
ტექნიკურიმიზნებისთვის
სხვა

18. უკან მობრუნებული საქონელი

19. საწყობი
საწყობის სარეგისტრაციო კოდი
დასახელება

20. მე, ზემოაღნიშნულტვირთზეპასუხისმგებელიპირივადასტურებ, რომამდოკუმენტშიწარმოდგენილიმონაცემებინამდვილიადასრულია. თანახმავარდაცულიიქნესსაქართველოსფიტოსანიტარიულიმოთხოვნები,
მათშორისგადავიხადოგადასახდელებიამმოთხოვნებთანშეუსაბამოტვირთისუკანდაბრუნებისათვის,
ასევესაჭიროებისშემთხვევაშიტვირთისგანადგურებისათვის.

წინასწარიშეტყობინებისშედგენისადგილი, რიცხვი,
თვედაწელიპასუხისმგებელიპირისსახელი, გვარი

პირადინომერი